

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ბახვა დოლიძის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრობა, ჩემთვის გამოწვევაა და უდიდესი პასუხისმგებლობა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ამავე დროს, ჩემი საკრებულოს წევრობის საქმიანობა OGP-ის „ღია მმართველობა პარტნიორობას“ სერვისების მხარდაჭერით ონლაინ მიეწოდება ამომრჩეველს, ამიტომ დღეს შევეცდები მოკლედ გავამახვილო ყურადღება ჩატარებული სამუშაოების შესახებ.

ჩემი ანგარიში მინდა სამადლობელი სიტყვებით დავიწყო. პირველ რიგში მადლობა მინდა გადაუხადო პოლიტიკურ გაერთიანება „ქართულ ოცნებას“ მის თავმჯდომარეს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, პარტიის პოლიტიკურ საბჭოს 2017 წლის ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებში პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ „მრეწველების“ პარტნიორად (თანამებრძოლად) აღიარებისათვის. ასევე პარტია „მრეწველების“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ბატონებს გოგო თოფაძეს და ზურაბ ტყემალაძეს, თანმიმდევრული პოლიტიკისა და ქვეყნის განვითარების ერთიანი ხედვისათვის პარტია „ქართულ ოცნება“ -სთან ერთად, რომლის დამსახურებაც ქვეყნის მამტაბით „ქართული ოცნების“ პარტიული სიის მე-6 ნომერი „მრეწველი“, რომელთაგან ერთ-ერთ მათგანი მე გახლავართ.

მადლობა მინდა გადაუხადო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ დავით დარჩიას, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გიორგი ღურჯაუმელიძეს, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ბატონ ტარიელ არაშიძეს, პარტია „მრეწველების“ და პირადად ჩემი პოლიტიკური აქტივობის გაზრდის მიზნით, უმრავლესობის ბაზაზე ფრაქციის შექმნაში დახმარებისათვის და ბოლოს მადლობა ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველების“ წევრებს საკრებულოს კომისიებს მათი ხელმძღვანელებს, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის და ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“-ს ფუნქციონირებაში გაწეული დახმარებისათვის. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩემი როგორც პარტია „მრეწველები“-ს წარმომადგენლის და საკრებულოს წევრის ფუნქციაა პარტია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გადაწყვეტილებების და მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიის მხარდაჭერა, რომელსაც ჩემი აზრით დამაკმაყოფილებლად ვასრულებ საკრებულოს სხდომებსა, ფრაქციებსა და კომისიებში მუშაობისას. ვარ სამანდატო საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის, აგრეთვე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიების წევრი. ამასთან ერთად ჩემს დაინტერესებას წარმოადგენს აგრარული სფერო და მონაწილეობას ვღებულობ აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით. ვარ გენდერული საბჭოს წევრი.

ანგარიში მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

2018 წელს მონაწილეობა მივიღე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 -სხდომაში, აქედან -8 რიგგარეშე, რომელზედაც მიღებული იქნა 60-ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი -დადგენილება და 91 -ინდივიდუალური აქტი განკარგულება. საკრებულოს ბიუროს 25-სხდომაში, აქედან 1-რიგგარეშე. საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებში მონაწილეობა მივიღე : სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიაში-21, აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიაში -21, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიაში -7,

ჩატარდა ფრაქციის 5 სხდომა მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები ,რომლებიც დაფიქსირებულია ოქმების სახით.

ახლა, როგორც ფრაქციის ხელმძღვანელის და უშუალოდ დეპუტატის საქმიანობის შესახებ, პრობლემის სწრაფად მოგვარების სტრატეგია აგებულია მისი გადაწყვეტისადმი გუნდურ მიდგომაში . ამის მაგალითს წარმოადგენს 2018 წლის 20 თებერვალს ფრაქციის სახელზე დარეგისტრირდა განცხადება # 85,რომლის ხელმოძღვრები იყვნენ ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მასწავლებლები (მწვრთნელები) და მშობლები. განცხადება ეხებოდა ახალგაზრდა ფეხბურთელების დაოსტატებისათვის ხელშემშლელ ფაქტორებს და მისი მოგვარების გზებს, კერძოდ გამახვილებული იყო ყურადღება ქალაქის ფარგლებში არსებულ „ლაშეს“ უბნის ამავე სახელწოდების სავარჯიშო მინდვრის ინფრასტრუქტურის მოწყობის შესახებ რომელზეც დღეისათვის აუტანელ პირობებში ვარჯიშობს ახალგაზრდა თაობა. წერილზე გაკეთდა რეაგირება და ადგილზე გავეცანიტ პრობლემებს, რომელიც გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა ვიდრე ველოდით. არსებული სიტუაცია გაანალიზდა ფრაქციის სხდომაზე ოქმი #3 დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში საფეხბურთო მიღწევების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია საფეხბურთო მინდვრის რეკონსტრუქცია და მასზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, ისე რომ სტადიონმა რეგიონალური მნიშვნელობის ტურნირებს უმასპინძლოს. პრობლემის სწრაფად გადაწყვეტის მიზნით, უბნის მაჟორიტარი დეპუტატ ბატონ ლევან მგელაძესთან ერთად შევიმუშავეთ პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის სტრატეგია, შესაბამისი პროცედურით შეასამის კომისიაში მომზადდა დოკუმენტაცია და გადგეზავნ მუნიციპალიტეტის მერია შემდგომი რეაგირებისათვის. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან საკითხზე ერთიანი მიდგომით და აღმასრულებელი ხელისუფლების კერძოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ბატონი კონსტანტინე შარაშენიძის მხარდაჭერით გამოინახა თანხები საპროექტო სამუშაოების ჩატარებისათვის. დარწმუნებული ვარ 2019 წელს მუნიციპალიტეტის მერია განახორციელებს მუნიციპალიტეტისათვის ამ უმნიშვნელოვანეს პროექტს.

მეორე წერილი სარეგისტრაციო # 101, რომელიც დაბა ურეკის მაცხოვრებლების მიერ დარეგისტრირდა ფრაქციის სახელზე 2018 წლის 28 თებერვალს, ეხებოდა ზაფხულის სეზონის დროს დამსვენებლების და ადგილობრივი მოსახლეობის წუხილს ცენტრალური გზის გადატვირთულობასთან დაკავშირებით, რომლის პირობებში შეუძლებელია დროული სასწრაფო დახმარების , სახანძროი და სამაშველო ღონისძიებების ჩატარება. აღნიშნულ წერილზე ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველებ“-მა გავაკეთედ რეაგირება და ადგილზე

გავეცანით პრობლემას, რომელიც, ჯერ არ დაწყებული სეზონის პირობებში მწვავედ და ნათლად ჩანდა, ამასთან ერთად გავეცანით პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ ალტერნატიულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ე.წ. „უსკოკალიეკის“ (ადგილობრივები ასე უწოდებენ ალტერნატიულ შემოვლით ვიწრო გზას) გზის სტანდარტულად მოწყობას.

ფრაქციის სხდომაზე ოქმი #4 ვიმსჯელებთ მოსახლეობის მიერ შემოთავაზებულ პროექტზე დავსახეთ ერთობლივი ღონისძიებების გეგმა მისი გუნდურად გადაწყვეტის თაობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს წევრი დაბა ურეკიდან ბატონი გოჩა მდინარაძე ჩვენი ფრაქციის წევრია. ცალკე, როგორც საკრებულოს მაჟორიტარი წევრის და აგრეთვე ფრაქციის ძალისხმევით, საკითხი ღრმა შესწავლისათვის გადაეცა სივრცითი-ტერიტორიულ დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას განსახილველად. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მერიას გადაეგზავნა შესაბამისი დოკუმენტაცია შემდგომი რაგირებისათვის. ჩვენდა სასიხარულოდ 2019 წლის ბიუჯეტში გამოინახა თანხები.

მინდა მოგახსენოთ პირადი როგორც საკრებულოს წევრის შეხვედრების შესახებ ამომრჩეველთან, ყველა ჩემი კოლეგა დღის განმავლობაში ვხდები ამომრჩეველს სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხებზე. ამომრჩეველთან შეხვედრების შედეგების გაანალიზებისას ითხოვს დახმარების გაწევას როგორც ფულადი ისე ინფრასტრუქტურის მოწყობაში. იშვიათი შემთხვევაა დასაქმების მოთხოვნა ასეთი იყო სულ 3-მი. ჩემი პირადი კონტაქტებით ორი მადგანი აყვანილი იქნა შედგირდად პროფესიის დასაუფლებლად.

გარდა აღნიშნულისა ვმონაწილეობდი NDI - ის ეგიდით ჩატარებულ ტრენინგებში, სადაც მოუსმინე ბიუჯეტის ფორმირების და მედიასთან ურთიერთობის სალექციო კურსს, რაც ძალიან სასარგებლო იყო და გამოვიყენებ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვის პროცესში.

ახლა მინდა მოგახსენოთ მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრობლემას რომელიც ეხება გაზრდილ მიგრაციის და მისი შესაძლო შეჩერების ერთ-ერთ გზას, რომლის განხორციელების წარმატება დამოკიდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ერთობლივი თანამშრომლობით. პრობლემას მოაგვარებს ან დაარეგულირებს მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტიული მრავალწლიანი გეგმის (მინიმუმ ათწლიანი) დასახვა და მისი განხორციელების მექანიზმების შემუშავება. აღნიშნული გეგმა და მისი გადაწყვეტის გზები შექმნის ბიზნესის განვითარების პერსპექტივის განცდას მოსახლეობის აქტიურ-პროდუქტიულ ნაწილში, რომელსაც აუცილებლად მოყვება შესაბამისად აგრარული სფეროს და გადამამუშავებელი წარმოების განვითარება სახელმწიფოს მხარდაჭერით და თანადგომით.

მეორე თემა, რომელიც აქტიურად განიხილება ქალაქში არის პარკირება. მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ერთობლივი თანამშრომლობით მიღებულია წესი და რეგულაციები. ამ დადგენილებით პრობლემა დარეგულირდება დროებით. ჩემი აზრით საკრებულოს და მერიის მხარდაჭერით, შესაბამის დარგის სპეციალისტების დახმარებით უნდა მოიძებნოს საინვესტიციო ფართობი, რომელზეც განთავსდება და განვითარდება ინფრასტრუქტურა, ამით შემცირდება მოსახლეობის ნაკადი დღეისთვის არსებულ ცენტრში .

2019 წლის გეგმების შესახებ : უფრო აქტიურად ჩავეხება საკრებულოს მუშაობაში და მეტი ეფექტურობით განვახორციელო ფრაქციული და უშუალოდ როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობა. მინდა აქტიურად მივიღო მონაწილეობა მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აგრარული დარგის განვითარების ხელშეწყობაში. და ბოლოს მაძლობა მინდა გადაუხადო საკრებულოს აპარატს სანიმუშო მუშაობისთვის და დახმარებისთვის, საკრებულოს წევრობის უფლებამოსილების განხორციელებაში.

საკრებულოს წევრი ბახვა დოლიძე

23. იანვარი 2019 წელი